



SABUKO

Society for
Nature
Conservation



Partnership for
nature and people

საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის - საბუკოს
მოსაზრებები სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ კასპის ქარის
ელექტროსადგურის პროექტის სკოპინგის ანგარიშთან
დაკავშირებით

თბილისი

30 სექტემბერი, 2019 წელი

საკონტაქტო ელ. ფოსტა: office@sabuko.ge

შესავალი

ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა დაგეგმილია სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ მიერ, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ-ია და მისი საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, ზემო რენეს, იგოეთსა და კასპს შორის - კვერნაკის ქედზე.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარმოდგენილი [სკოპინგის ანგარიშის](#) გაცნობის შემდგომ, რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოიკვეთა, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე.

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ სკოპინგის ანგარიშის მოცულობითი ნაწილი, გადმოწერილია შპს „დაბლიუიჯი ენვი კონსალტინგი“-ს მიერ შესრულებული თბილისის ქარის ელექტროსადგურის პროექტის [სკოპინგის ანგარიშიდან](#); გადმოწერილია ინფორმაცია, რომელიც გარემოზე შესაძლო ზემოქმედების განსახილველად საკმაოდ მნიშვნელოვანია. თვალსაჩინოებისთვის, გადმოწერილი თავებია:

- 4.1, „მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი, პროექტისათვის სპეციფიური ასპექტები“ (გვ.55);
- 4.2.1 „პოტენციური ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშ წყლებზე“ (გვ.68);
- 4.2.2, „ზედაპირულ და მიწისქვეშ წყლებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები“ (გვ.69);
- 4.2.3 „ატმოსფერული გაფრქვევები და ხმაურის გავრცელება“ (გვ.69);
- 4.2.4 „შემარბილებელი ზომები“ (გვ.72);
- 4.2.5, „პოტენციური ზემოქმედება გეომორფოლოგიაზე, ნიადაგებზე და გეოსაშიშროებაზე“ (გვ.73);
- 4.2.6, „გეომორფოლოგიაზე, ნიადაგებზე და გეოსაშიშროებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები“ (გვ.74);
- 4.2.7 „პოტენციური ზემოქმედება ლანდშაფტსა და ხედებზე“ (გვ.75);
- 4.2.8 „ლანდშაფტსა და ხედებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები“ (გვ.76);

- 4.2.9 „ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების პოტენციალის მქონე საქმიანობა“ (გვ.76);
- 4.2.10 „პოტენციური ზემოქმედება წყლის ჰაბიტატებზე“ (გვ.78);
- 4.2.11 „პოტენციური ზემოქმედება ფაუნაზე“ (გვ. 79);
- 4.2.12 „ეკოსისტემებზე, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შემარბილებელი ზომები“ (გვ. 80);
- 4.2.13 „ფრინველების და ღამურების დაღუპვა ქარის ტურბინებთან და ეგზ-სთან შეჯახების და დენის დარტყმის გამო“ (გვ.81);
- 4.2.14 „ფრინველებსა და ღამურებზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები“ (გვ.81).

გარდა ამისა, დოკუმენტი შეიცავს როგორც მოძველებულ კვლევებს (ბიომრავალფეროვნების კვლევა ჩატარებულია 2017 წელს), აგრეთვე - მცდარ მონაცემებს. მაგალითად, გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაცვლად, არაერთხელ ნახსენებია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ამასთან, დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს, რომ 2018 წელში დაამტკიცოს ოფიციალურად ნომინირებული ეს კანდიდატი ზურმუხტის უბანი - GE0000046 კვერნაქი, 12,98 ჰა.“, მაშინ როდესაც კვერნაკი უკვე დამტკიცებული საიტია.

ელექტროგადამცემი ხაზის საკითხი

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, მოხდება 110 კვ ეგზ-ს მშენებლობა, რომელიც მიერთებული იქნება კასპის ქვესადგურს ქ/ს ქსანი 500/220/110-თან, თუმცა [სკოპინგის განცხადებაში](#), ნახსენები არ არის 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტი.

ანგარიშში ზედაპირულად მიმოხილულია გადამცემი ხაზის ზემოქმედება გარემოზე. ამ შემთხვევაში, დასაზუსტებელია, საქმიანობის განმახორციელებელმა მოამზადა თუ არა გადამცემი ხაზისა და ქარის ელექტროსადგურზე ერთი სკოპინგის ანგარიში. თუ ასეა, გადამცემ ხაზთან დაკავშირებით, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული ინფორმაცია.

საპროექტო ტერიტორიისა და ქარის ტურბინების კოორდინატები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp - ფაილებთან ერთად). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე¹, სკოპინგის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი Shape ფაილები, მოიცავს მხოლოდ გადამცემ ხაზსა და კასპის გზას, ტურბინების განთავსებისა და საკვლევი ტერიტორიის კოორდინატები წარმოდგენილია მხოლოდ სკოპინგის ანგარიშში, ცხრილის სახით.

კოორდინატების რუკაზე დატანა რთულია, რადგან მითითებული არ არის კოორდინატთა სისტემა (WGS 1984 UTM Zone 38N), აგრეთვე ტურბინის ადგილმდებარეობა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო Shape ფაილებში. მნიშვნელოვანია, რომ კოორდინატების დატანა შესაძლებელი გახდეს Google Maps ან Google earth პროგრამაში, რათა უფრო ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

ტურბინების რაოდენობა

დოკუმენტში ვკითხულობთ: „კასპის ქარის ელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრით იქნება 54 მგვტ. სულ დამონტაჟებული იქნება 12 ან 13 ტურბინა, ტურბინის სიმძლავრეზე დამოკიდებულებით“ (გვ.10), ტურბინების რიცხვის დაზუსტება მოხდება მათი მომწოდებლის შერჩევის შემდგომ. დოკუმენტში წარმოდგენილ ცხრილში 2-3 „საპროექტო ქარის ელექტროსადგურის ტურბინების განლაგების კოორდინატები“ - ჩამოთვლილია 16 ტურბინა. დასაზუსტებელია, რამდენი ტურბინის განლაგება იგეგმება.

¹ <https://bit.ly/2o3ZRBs>

საქმიანობისა და ადგილმდებარეობის ალტერნატივები

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივებს.

სკოპინგის ანგარიშში ვკითხულობთ: „კომპანიის მიერ ჩატარებული ქარის რეჟიმების და ქარის ელექტროსადგურებისათვის პერსპექტიული ტერიტორიების წინასწარი კვლევების საფუძველზე, საქართველოს მთავრობასა და სს „კავკასიის ქარის კომპანია“-ის შორის 2017 წლის 15 მარტს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში განისაზღვრა პერსპექტიული საპროექტო ტერიტორია, შემდგომი დეტალური კვლევებისა და პროექტის-ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზისათვის“.


დოკუმენტში განხილული არაა დაგეგმილი საქმიანობისა და ქარის ტურბინების განლაგების ალტერნატივები, საპროექტო ტერიტორიის შერჩევის მიზეზი კი - ქარის რეჟიმები და ეკონომიკური მიზანშეწონილობაა, მაშინ როდესაც ალტერნატივები გარემოს დაცვის მიზნით უნდა იყოს შემოთავაზებული. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ქარის ელექტროსადგურის განთავსებისათვის შერჩეული არის სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიები, ე.წ. „ზურმუხტის საიტი“ და წარმოდგენილი არ არის არც ერთი ალტერნატივა, რომელიც არ გადაკვეთდა კვერნაკის ქედს.

საპროექტო ტერიტორიად შერჩეული ზურმუხტის ქსელის საიტი

ქარის ელექტროსადგურის განლაგება იგეგმება ზურმუხტის ქსელის დეზინგინირებული საიტის - „კვერნაკი“ (GE0000046) ტერიტორიაზე, 7 კმ სიგრძეზე.

ზურმუხტის ქსელის საიტად კვერნაკის ქედის დამტკიცების მიზეზი, ბუნებრივი ჰაბიტატების შენარჩუნების გზით სახეობების დაცვაა. ტერიტორია მნიშვნელოვანია „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციით“ (ე.წ. ბერნის კონვენცია) დაცული სახეობებისთვის.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ფრაგმენტაცია ხდება კვერნაკის ზურმუხტის საიტის შუა ნაწილში (იხ.ქვემოთ)², რამაც შესაძლოა სრულად დაარღვიოს ჰაბიტატის ერთიანობა და უარყოფითად იმოქმედოს სახეობებზე.



სურათი 3-5 ქარის ელექტროსადგურისათვის შერჩეული ტერიტორიის მახლობლად მდებარე დაცული ტერიტორიები და ტურისტული მარშრუტები

გარდა იმისა, რომ ტერიტორია ზურმუხტის ქსელის საიტია, ის წარმოადგენს ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიას - SPA 10 KVERNAKI (Special protection areas) და ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიას (Important bird area – IBA). ეს ინფორმაცია საერთოდ ნახსენები არ არის სკოპინგის ანგარიშში, მაშინ როდესაც, ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილები საერთაშორისო კონსერვაციული მნიშვნელობის

² „სურათი 3-5“ გადმოტანილია სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ ქარის ელექტროსადგურის პროექტის სკოპინგის ანგარიშიდან.

სტატუსის მქონე ტერიტორიებია. ამასთან, 2014 წელს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერით, საქართველოს მთავრობამ ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში ორი მნიშვნელოვანი ვალდებულება აიღო:

- ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიის განსაზღვრისა და დაწესების;
- რეგულარულად მიგრირებადი სახეობების დაცვის მიზნით კონსერვაციის სპეციალური ზომების მიღების³.

ბიომრავალფეროვნების შეფასება

საპროექტო ტერიტორიის მნიშვნელობის მიუხედავად, ბიომრავალფეროვნების კვლევა მხოლოდ ერთ დღეს - 2017 წლის 11 ნოემბერს ჩატარდა, 09:45 საათიდან 19:00 საათამდე დროის ინტერვალში, მაშინ როდესაც საკვლევი ტერიტორიის ფართობი 4200 ჰექტარია.

მონაცემები საკმაოდ ზედაპირულია, მხოლოდ ფრინველები და შემთხვევით დაფიქსირებული ძუძუმწოვრებია ნახსენები. როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, სავსე გასვლა მიზნად ისახავდა ძირითადად ფრინველების კვლევას და არა ძუძუმწოვრების ან სხვა ორგანიზმების: „სავსე სამუშაოები ძირითადად მიმართული იყო ფრინველებზე, რის გამოც ეს სამუშაოები განხორციელდა ისეთ დროს, რომელიც ემთხვევა ფრინველების საშემოდგომო გადაფრენის ბოლო პერიოდსა და გამოზამთრების სეზონის დასაწყისს“ (გვ.131).

მნიშვნელოვან ხარვეზად მიგვაჩნია ის, რომ 2019 წლის სექტემბრის თვეში წარმოდგენილი დოკუმენტი, მხოლოდ 2017 წლის ერთდღიან მონაცემებს ეყრდნობა, მაშინ როდესაც საქმე ეხება როგორც საქართველოსთვის, აგრეთვე საერთაშორისოდ, ბიომრავალფეროვნებისთვის მნიშვნელოვნად აღიარებულ ტერიტორიას.

³ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, დანართი XXVI.

ფასკუნჯი და ქარის ელექტროსადგური

ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობაა (სტატუსი - მოწყვლადი), ხოლო ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელი ნუსხით, მისი სტატუსი - საფრთხეში მყოფია. საქართველოს კანონის „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, მე-11 მუხლის თანახმად, აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შესაძლოა მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არელის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა⁴.

ამასთან ერთად, ფასკუნჯი ბერნის კონვენციის მეორე დანართით - „მკაცრად დაცული ფაუნის სახეობები“, დაცული სახეობაა, ხოლო საქართველოს მთავრობა ვალდებულია უზრუნველყოს კონვენციის მეორე დანართში - ჩამოთვლილი ველური ფაუნის სახეობების საგანგებო დაცვა.

სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ფასკუნჯების რიცხოვნობის შემცირების მიზეზი შესაძლოა იყოს მოწამვლა, ჰაბიტატის დაკარგვა და დეგრადაცია, ადამიანის საქმიანობის შედეგად შეწუხება, აგრეთვე ქარის ტურბინებთან შეჯახება. პოპულაციის რიცხოვნობა შემცირებულია საქართველოში⁵.

სკოპინგის ანგარიშში ფასკუნჯის შესახებ ვკითხულობთ:

- „იშვიათი ვიზიტორი (ან მოხეტიალე სახეობა) - აღრიცხულია მხოლოდ რამდენჯერმე; მისი არსებობა მოსალოდნელი არაა, რადგანაც მისი გავრცელების არეალი საკმაოდ მოშორებულია საპროექტო ტერიტორიიდან“;
- „გამვლელი გადამფრენი (გადამფრენი ვიზიტორი) - ფრინველი რეგულარულად გვხვდება სეზონური გადაფრენისას, წარმოდგენილია ძირითადად შემოდგომითა და გაზაფხულზე“;

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, ფასკუნჯი კვერნაკის ქედზე ძალიან იშვიათი სახეობაა, რომელიც საველე გასვლების 1%-ზე ნაკლებში აღირიცხა.

⁵ <https://bit.ly/2nnuG3C>

გაურკვეველია, რას მონაცემების შეჯერებით მოხდა 1%-ის გამოთვლა, როდესაც საველე „გასვლები“ არ ჩატარებულა, მხოლოდ ერთ დღეს მოხდა ფრინველებზე დაკვირვება 2017 წლის 11 ნოემბერს.

საბუკო 2018 წლიდან აკვირდება კვერნაკის ქედზე ფასკუნჯების პოპულაციას და ამ ტერიტორიაზე 4 ბუდე აქვს დაფიქსირებული, 2 უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს.



სურათი 1. ფასკუნჯის ბუდე საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, კვერნაკის ქედზე. ფოტო - შოთა ჯაფარაშვილი

მიგვაჩნია, რომ ქარის ტურბინებისა და მასთან ერთად გადამცემი ხაზის მოწყობა, საფრთხეს შეუქმნის კვერნაკის ქედზე არსებულ ბიომრავალფეროვნებას, რაც ანგარიშიდანაც დასტურდება. ანგარიშში ვკითხულობთ: „ლანდშაფტზე, ბუნებრივ ჰაბიტატზე და ეკოსისტემაზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ქარის ელექტროსადგურის შენობა-

ნაგებობების, ქვესადგურთან შემაერთებული ხაზების და მისასვლელი გზების მოწყობასა და ექსპლუატაციასთან. შენობა-ნაგებობებისა და განთავსების უბნები და მისასვლელი გზების დერეფნები ხანგრძლივი პერიოდით (ვიდრე არ მოხდება ობიექტის დემონტაჟი) შეცვლის ბუნებრივ მახასიათებლებს. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ზოგიერთი ლოკალური ჰაბიტატის და მნიშვნელოვანი ეკოსისტემის განადგურება“ (გვ.67);

„ექსპლუატაციის ფაზაზე ქარის ტურბინები და ეგზ-ები იწვევს ფრინველების და დამურების ჰაბიტატის ცვლილებას, რადგანაც ანძები და კაბელები წარმოადგენს ბარიერებს, რომლებიც მათ ხელს უშლის ფრენისას: ფრინველები/დამურები შეიძლება შეეჯახონ ანძებს/კაბელებს და დაიღუპონ/დაზიანდნენ, ან დაიღუპონ ორ კაბელთან ერთდროულად შეხების შემთხვევაში.“ (გვ.79); „ქარის ელექტროსადგურის ფრინველთა მნიშვნელოვან სამიგრაციო დერეფანში განთავსებამ მასთან შეჯახების გამო ფრინველების დაღუპვა გამოიწვიოს“ - ვკითხულობთ სკოპინგის ანგარიშში. აგრეთვე, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურმა, მათ შორის, გარკვეულ ადგილებში აფეთქებებმა, შესაძლოა გამოიწვიოს ფრინველების დაფრთხობა.

დღეისათვის, მრავალი სამეცნიერო კვლევა არსებობს რომელიც ქარის ტურბინების უარყოფით ზეგავლენას აფასებს ფასკუნჯსა და სხვა ლეშიჭამია სახეობებზე. ვინაიდან, კვერნაკი უშუალოდ ფასკუნჯის გავრცელების არეალია, სწორედ მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე შევჩერდებით.

ფასკუნჯებს საკვების მოპოვებისათვის ყოველდღიურად მაქსიმუმ 25 კილომეტრზე შეუძლიათ გადაფრენა. ჩვენს შემთხვევაში ტურბინებსა და უახლოეს ბუდეს შორის მაქსიმალური მანძილი **1.7კილომეტრია**, ყველაზე შორს მყოფ წყვილებს შორის კი - **10 კილომეტრია**. კვლევების მიხედვით, ტერიტორიული ფასკუნჯის წყვილებსა და ტურბინებს შორის მიზანშეწონილი მანძილი მინიმუმ **15 კილომეტრია**⁶, რაც ამცირებს ტურბინებთან შეჯახების რისკს. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, **ტურბინების შემოთავაზებული ლოკაცია, ამ კონკრეტულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს (15 კილომეტრიან დაშორებას)**. როგორც მოგეხსენებათ, ფასკუნჯი კვერნაკის საიტის ერთ-ერთი პრიორიტეტული სამონიტორინგო სახეობაა,

⁶ Large scale risk-assessment of wind-farms on population viability of a globally endangered long-lived raptorMartina Carrete a,*, José A. Sánchez-Zapata b, José R. Benítez c, Manuel Lobón c, José A. Donazar a, 2009

მიუხედავად ამისა, ამ დრომდე, არ გვინახავს კვლევები ამ კონკრეტულ საიტზე ფასკუნჯის გავრცელებისა და მის მიერ ჰაბიტატის გამოყენების შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, შპს „ამპერაქს ენერჯი ჯორჯიას“ მიერ იგეგმება ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა⁷ (იხ. სურათი 2), რომელიც ზრდის მოსალოდნელ კუმულაციურ ზემოქმედებას ფასკუნჯზე, რადგან დაშორება მათ ბუდეებსა და ტურბინებს შორის, ასევე არ აკმაყოფილებს ზემოთ ნახსენებ უსაფრთხოების რეკომენდაციებს.




სურათი 2. ცისფერი ფერით ნაჩვენებია სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ დაგეგმილი ქარის ტურბინები, წითლად - შპს „ამპერაქს ენერჯი ჯორჯიას“

ზურმუხტის ქსელის საიტზე, ფრინველთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიასა და ფრინველთათვის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, ქარის ელექტროსადგურისა


⁷ <https://bit.ly/2IUSueY>

და გადამცემი ხაზის განთავსება ხელს შეუშლის ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულების შესრულებას, ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით და გამოიწვევს კვერნაკის ქედის, როგორც ბიომრავალფეროვნებისთვის განსაკუთრებული ადგილის დეგრადაციას.



სურათი 3. ფასკუნჯის ბუდეები საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ფრინველებზე ზემოქმედების შემცირების სტრატეგია გულისხმობს ტერიტორიის შერჩევას და ობიექტის მოცილებას ყველაზე სენსიტიური ადგილებიდან (გვ.68). ვინაიდან, მთლიანად საპროექტო ტერიტორია, სრულად მდებარეობს ფრინველთათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე, საჭიროდ ვთვლით, რომ ქარის ელექტროსადგურისა და გადამცემი ხაზის მშენებლობისთვის მოიძებნოს სხვა ალტერნატიული ადგილები, რომელიც გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინებით იქნება შერჩეული. ამასთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებულ იქნას, ბიომრავალფეროვნების



დაცვასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებით აღებული ვალდებულებები.